

შპს ბაგრატი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ბაგრატი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. ძირითადი საშუალებები	21
5. საინვესტიციო ქონება	23
6. მარაგები	24
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
10. ამონაგები	24
11. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	25
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
13. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	25
14. ფინანსური და სხვა რისკების მართვა	25
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
16. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	27
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბაგრატი-ს მენეჯმენტსა და მესაკუთრეებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბაგრატის“-ის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შესაბამისად 1,888,683 და 942,308 ლარით ხოლო საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შესაბამისად 106,811 და 61,599 ლარით. კომპანიამ 2019 წელს მოიწვია დამოუკიდებელი შემფასებელი, რომელმაც განსაზღვრა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ღირებულება და აღნიშნული თანხის გამოყენებით განისაზღვრება 2021 წლის ბოლო მდგომარეობით არსებული საბალანსო ღირებულება. ჩვენ ვერ დავრწმუნდით ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ღირებულების შეფასების მიზნით, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გამოტანილი დასკვნების, მის სამუშაოში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი დაშვებების, შეფასების მეთოდების შესაბამისობასა და გონივრულობაში, ასევე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გამოყენებული პირველადი მონაცემების საკმარისობაში, შესრულებული კალკულაციების სიზუსტეში, დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. შედეგად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულების სისწორესთან მიმართებით. ჩვენ შევაფასეთ დამოუკიდებელი შემფასებლის კომპეტენცია, უნარიანობა და ობიექტურობა, გავერკვიეთ მის მიერ შესრულებულ სამუშაოში და შევაფასეთ, შესაფერისია თუ არა ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაო იმისათვის რომ გამოვიყენოთ როგორც აუდიტორული მტკიცებულება სათანადო მტკიცებასთან მიმართებით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებების განხორციელება თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ძირითადი

საშუალებების და საინვესტიციო ქონების ღირებულებასთან მიმართებაში, ასევე ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

1 ნოემბერი, 2023 წელი

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება


აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992



შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

1 ნოემბერი, 2023 წელი

შპს ბაგრატი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,888,683	942,308
საინვესტიციო ქონება	5	106,811	61,599
არამატერიალური აქტივები		11,325	11,550
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,006,819	1,015,457
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	75,944	22,177
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,566,035	1,744,921
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	281,945	218,223
სულ მიმდინარე აქტივები		2,923,924	1,985,321
სულ ქტივები		4,930,743	3,000,778
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,104,638	361,544
საწესდებო კაპიტალი		13,399	4,000
აკუმულირებული მოგება		1,632,181	995,629
სულ კაპიტალი		2,750,218	1,361,173
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	9	2,060,641	1,590,701
საგადასახადო ვალდებულებები		119,884	48,904
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,180,525	1,639,605
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,930,743	3,000,778

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-28 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 1 ნოემბერს.

გიორგი ერემიშვილი

დირექტორი

1.11.2023

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

1.11.2023

შპს ბაგრატი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,888,683	942,308
საინვესტიციო ქონება	5	106,811	61,599
არამატერიალური აქტივები		11,325	11,550
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,006,819	1,015,457
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	75,944	22,177
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,566,035	1,744,921
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	281,945	218,223
სულ მიმდინარე აქტივები		2,923,924	1,985,321
სულ აქტივები		4,930,743	3,000,778
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,104,638	361,544
საწესდებო კაპიტალი		13,399	4,000
აკუმულირებული მოგება		1,632,181	995,629
სულ კაპიტალი		2,750,218	1,361,173
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	9	2,060,641	1,590,701
საგადასახადო ვალდებულებები		119,884	48,904
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,180,525	1,639,605
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,930,743	3,000,778

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-28 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 1 ნოემბერს.


 გენერალური დირექტორი
 1.01.2023


 თამარ ქობულაძე
 ფინანსური მენეჯერი
 1.11.2023

შპს ბაგრატი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	10	32,472,454	24,935,437
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11	(25,942,825)	(20,061,732)
საერთო მოგება		6,529,629	4,873,705
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება		48,014	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,055,745)	(484,091)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	13	(4,471,475)	(3,533,288)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,050,423	856,326
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		33,695	6,357
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(71,858)	(7,214)
მოგება დაბეგვრამდე		1,012,260	855,469
მოგების გადასახადი		(59,919)	(74,074)
წმინდა მოგება		952,341	781,395
სხვა სრული შემოსავალი	4	743,094	-
სულ სრული შემოსავალი		1,695,435	781,395

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	4,000	635,285	361,544	1,000,829
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	-	-	-	-
წლის წმინდა მოგება	-	781,395	-	781,395
დივიდენდის გაცემა	-	(421,051)	-	(421,051)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	4,000	995,629	361,544	1,361,173
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	9,399	-	-	9,399
წლის წმინდა მოგება	-	952,341	-	952,341
სხვა სრული შემოსავალი	-	-	743,094	-
დივიდენდის გაცემა	-	(315,789)	-	(315,789)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	13,399	1,632,181	1,104,638	2,750,218

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	952,341	781,395
არაფულადი კორექტირებები:		-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	14,973	-
ცვეთა და ამორტიზაცია	187,891	154,621
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	(44,099)	-
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,111,106	936,016
ცვლილებები მარაგებში	(53,767)	(4,863)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(821,114)	(716,583)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	469,940	425,127
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	70,980	(6,953)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	777,145	632,744
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(315,789)	(421,051)
კაპიტალის ზრდა/(კლება)	9,399	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(306,390)	(421,051)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(407,033)	(131,143)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(407,033)	(131,143)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	63,722	80,550
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	218,223	137,673
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	281,945	218,223

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბაგრატი“ დაფუძნდა 2010 წლის 18 აგვისტოს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 412672807.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქ. №190თ.

შპს ბაგრატი-ს დამფუძნებელია:

გიორგი ქათამაძე (პ/ნ 60001009375) – 100%

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

გიორგი ერემეიშვილი (პ/ნ 60001101037).

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს სურსათის დისტრიბუცია, საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით. საქმიანობის ტიპი:

- სადისტრიბუციო ქსელი
- სასაწყობო მეურნეობები (მაცივრები, საწყობები, სათავსები და სხვა)

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2021	3.0976	3.5040
31-დეკ-2022	2.7020	2.8844

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალს ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია გადაფასების მოდელით. გადაფასება გაკეთებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასების შემდეგ ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა იმ წესით, როგორც ქვემოთაა მოცემილი.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, გადაფასების ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და კაპიტალში გროვდება გადაფასების რეზერვის მუხლში. მოგებაში ან ზარალში აისახება გადაფასებიდან მიღებული ის ნამეტი თანხა, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მომველება და ფიზიკური ცვეთა. მინიჭებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
სპეციალური ინსტრუმენტები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით,

კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები.

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეფასებულია რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონებას კომპანია აღრიცხავს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, კომპანია ამ აქტივს აღრიცხავს ძირითადი საშუალებების პოლიტიკის შესაბამისად მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი. საბალანსო ღირებულება, რომელიც საინვესტიციო ქონებას ექნება ზემოაღნიშნული ბოლო თარიღისთვის, გახდება მისი თვითღირებულება. ეს ცვლილება გარემოებების ცვლილებასა და არა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კვების პროდუქტების გადაყიდვა. შემოსავალი აღიარდება პირველადი დოკუმენტის შექმნისას.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღირცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში,

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა - ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
გადაფასებული ღირებულება 31.12.2020	136,026	352,319	21,897	-	28,643	26,070	523,713	1,088,668
შემოსვლა	-	-	11,843	650	1,742	-	116,908	131,143
გადაფასებული ღირებულება 31.12.2021	136,026	352,319	33,740	650	30,385	26,070	640,621	1,219,811
შემოსვლა	231,114	-	21,376	-	53,123	29,951	71,469	407,033
გასვლა	-	(52,848)	(20,243)	-	(23,265)	(19,057)	(350,869)	(466,282)
ჩამოწერა	-	-	(3,325)	-	(1,757)	(3,891)	(6,000)	(14,973)
გადაფასება	311,259	294,945	(4,354)	-	1,919	(3,993)	143,318	743,094
გადაფასებული ღირებულება 31.12.2022	678,399	594,416	27,194	650	60,405	29,080	498,539	1,888,683
დაგროვილი ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	-	(17,616)	(4,105)	-	(4,794)	(5,127)	(96,517)	(128,159)
ცვეთა	-	(17,616)	(5,664)	-	(5,812)	(5,214)	(115,038)	(149,344)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(35,232)	(9,769)	-	(10,606)	(10,341)	(211,555)	(277,503)
ცვეთა	-	(17,616)	(8,994)	-	(12,658)	(8,810)	(137,011)	(185,089)
გადაფასებამდე დაგროვილი ცვეთის ელიმინაცია	-	52,848	18,336	-	22,392	16,738	348,566	458,880
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	427	-	872	2,413	-	3,712
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება								
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	136,026	317,088	23,971	650	19,778	15,729	429,066	942,308
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	678,399	594,416	27,194	650	60,405	29,080	498,539	1,888,683

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წელს კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფი შეფასებულია საბაზრო ღირებულებით პროფესიონალი შემფასებლის მიერ. შეფასების შედეგად, ქონების ღირებულება გაზრდილია 743,094 ლარით.

კომპანიის საკუთრებაში არსებული არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.

ცვეთის ხარჯიდან 157,429 ლარი ასახულია მიწოდების და რეალიზაციის ხარჯებში, ხოლო დანარჩენი ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
შეფასებული ღირებულება			
ნაშთი 31.12.2020	11,172	56,031	67,203
ნაშთი 31.12.2021	11,172	56,031	67,203
გადატანა რეალური ღირებულებით აღრიცხულ საინვესტიციო ქონებაზე	(11,172)	(56,031)	(67,203)
ნაშთი 31.12.2022	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31.12.2020	-	(2,802)	(2,802)
საინვესტიციო ქონების ცვეთა	-	(2,802)	(2,802)
ნაშთი 31.12.2021	-	(5,604)	(5,604)
საინვესტიციო ქონების ცვეთა	-	(2,802)	(2,802)
ცვეთის ელიმინაცია	-	8,406	8,406
ნაშთი 31.12.2022	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2021	11,172	50,427	61,599
ნაშთი 31.12.2022	-	-	-

საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით

	მიწა	შენობები	სულ
ნაშთი 31.12.2021	-	-	-
გადმოტანა ისტორიულ ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებიდან რეალური ღირებულების ცვლილება(აფასება)	11,172	47,625	58,797
	-	48,014	48,014
ნაშთი 31.12.2022	11,172	95,639	106,811

2022 წელს კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფი შეფასებულია საბაზრო ღირებულებით პროფესიონალი შემფასებლის მიერ. შეფასების შედეგად, ქონების ღირებულება გაზრდილია 48,014 ლარით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო აქტივები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- მიწის ნაკვეთი - 97 კვ.მ. ქ. ქუთაისი

- შენობა-ნაგებობა - 72 კვ.მ. ქ. ქუთაისი

2022 წელს, საინვესტიციო ქონების გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 15,255 ლარი.

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6. მარაგები

	2022	2021
სარეალიზაციო საქონელი (რძის პროდუქტები)	60,824	13,148
სამაცივრე ინვენტარი	-	1,611
საწვავი	15,120	7,418
	75,944	22,177

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,557,398	1,744,221
გადახდილი ავანსები	8,637	-
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	-	700
	2,566,035	1,744,921

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022	2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	281,945	218,223
	281,945	218,223

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულება	1,903,101	1,480,446
ვალდებულებები მარკეტინგული მომსახურებიდან	129,906	105,781
მიღებული ავანსები	5,080	4,474
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22,554	-
	2,060,641	1,590,701

10. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	33,287,486	25,641,939
გაყიდული საქონლის დაბრუნება	(830,287)	(728,853)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	15,255	7,118
შემოსავალი პროდუქციის ჩამოცლის მომსახურებიდან	-	15,233
	32,472,454	24,935,437

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	26,686,798	20,156,411
რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება	(743,973)	(94,679)
	25,942,825	20,061,732

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	515,284	283,010
სამეურნეო ხარჯი	305,326	79,570
ცვეთა და ამორტიზაცია	32,937	18,149
კომუნალური ხარჯი	21,445	16,102
კომუნიკაციის ხარჯები	16,558	11,680
საკანცელარიო ხარჯები	15,875	11,870
დაზღვევის ხარჯები	14,766	15,780
სხვა საგადასახადო ხარჯები	11,961	27,875
საპენსიო ფონდის ხარჯი	9,614	6,150
წარმომადგენლობითი ხარჯები	6,000	-
საბანკო ხარჯები	2,345	2,207
სხვა ხარჯები	103,634	11,698
	1,055,745	484,091

13. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

	2022	2021
მიწოდების სახელფასო ხარჯი	2,266,694	2,058,531
მარკეტინგული მომსახურება	1,102,950	693,136
საწვავის ხარჯები	617,045	371,912
ცვეთა და ამორტიზაცია	157,429	136,472
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	152,563	122,833
მიწოდების ხელფასის საპენსიო ფონდის ხარჯი	-	38,184
საიჯარო ქირა	152,542	101,695
სხვა ხარჯები	22,252	10,525
	4,471,475	3,533,288

14. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. საწარმოს არ გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ის არ დგას სავალუტო რისკის წინაშე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე დამფუძნებელზე ჯამურად გაცემულია დივიდენდი 185,760 ლარის ოდენობით.

2023 წლის 30 მაისს კომერციული ბანკისგან აღებულია სესხი 400,000 ლარის ოდენობით. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს სამაცივრე სივრცის მშენებლობა.

16. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობდა შემდეგი დაუფარავი ნაშთები და 2022 წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,378	-	27,378

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	5,269	-	5,269
საიჯარო მომსახურების მიღება	152,543	-	152,543
საიჯარო შემოსავალი	15,525	-	15,525
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	230,000	230,000

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობდა შემდეგი დაუფარავი ნაშთები და 2021 წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	700	-	700

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	8,400	1,762	10,162
საქონლის შესყიდვა	18,394	-	18,394
საიჯარო მომსახურების მიღება	120,000	-	120,000
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	368,834	368,834

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ბაგრატი-ს დირექტორებმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცეს და მისი გამოცემის ნებართვა გასცეს 2023 წლის 1 ნოემბერს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს ბაგრატის (ს.ნ.: 412672807) ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება შპს ბაგრატის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 1 ნოემბერს, რომელიც მოიცავდა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნითაა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

18 იანვარი, 2024 წელი

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო
18 იანვარი, 2024 წელი



შპს „ბაგრატი“,
მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა.....	1
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	1
2. საოპერაციო გარემო.....	1
3. საქმიანობის მიმოხილვა.....	1
4. სუბიექტის ფილიალები	1
5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	1
6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები.....	2
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	3
არაფინანსური ანგარიში	3
8. სოციალური პასუხისმგებლობა	3
9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა	3
10. ადამიანთა უფლებების დაცვა	3
11. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.....	3
12. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	4

საქმიანობის მიმოხილვა

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბაგრატი“ - ს/ნ 412672807 (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 18 აგვისტოს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, საბითუმო ვაჭრობა უაღკოპოლო სასმელებით, საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით, საბითუმო ვაჭრობა ხილით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.ქუთაისი წერეთლის 190

კომპანიის გენერალურ დირექტორია გიორგი ერემეიშვილი.

კომპანიის მეწილეები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გიორგი ქათამაძე	100%	100%

2. საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არა აქვს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი საკრედიტო და საფონდო ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით). ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური შეფერხება.

3. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ბაგრატი“ ანხორციელებს რძის პროდუქტების დისტრიბუციას დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

4. სუბიექტის ფილიალები

„კომპანიას“ აქვს სათაო ოფისი ქ. ქუთაისში წერეთლის 190-ში. ასევე ქ. ბათუმში გ. ანწუხელიძის ქუჩაზე. 2022 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 140 ადამიანი.

5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები


კომპანია პერმანენტულად ანხორციელებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტების შესწავლას. ასევე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას. აღნიშნული კვლევები ხორციელდება მარკეტინგისა და კომერციული დეპარტამენტის ჩართულობით.

კვლევების მიზანია ახალი კონკურენტების ანალიზი, რაც კომპანიის ბაზარზე პოზიციონირებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

შპს „ბაგრატი“ თანამშრომლების რაოდენობა და შემოსავალი წლიდან წლამდე მზარდია, იხილეთ ცხრილი:

	თანამშრომლების წლიური საშუალო რაოდენობა	წლიური შემოსავალი შპს ბაგრატი (ლარი)
2020	115	19,438,231
2021	139	24,935,437
2022	140	32,472,454



კომპანიის 2022 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{2,923,924}{2,180,525} = 1.34$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{2,847,980}{2,180,525} = 1.31$$

კომპანიის კაპიტალი

2022 წლის საწყისი საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენდა 4,000 ლარს. წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 9,399 ლარით და შეადგინა 13,399 ლარი.

2022 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენდა 995,629 ლარს. 2022 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 952,341 ლარი, ხოლო კომპანიის მფლობელებზე გაიცა 315,789 ლარის დივიდენდი. 2022 წელს კომპანიამ მოახდინა მატერიალური აქტივების გადაფასება და გადაფასების ნამეტი ასახა კაპიტალის მუხლში - 743,094 ლარი.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის საოპერაციო საქმიანობა არ უკავშირდება ისეთ გლობალურ რისკებს, როგორიცაა: საბანკო რეგულაციები, ეკონომიკური რყევები და სავალუტო რისკები, რომლებზეც ხშირ შემთხვევაში ბევრი კომპანიის გაყიდვების მოცულობა დიდადაა დამოკიდებული.

კომპანია არ ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მიმართ, რადგანაც ყველა ოპერაცია ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლო ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს კომპანიის ხელმძღვანელობა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს.

არაფინანსური ანგარიში

8. სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც შპს ბაგრატის უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის საიმედო მომსახურების გაწევაა.

9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

„კომპანია“ აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, თანამშრომლებს და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

10. ადამიანთა უფლებების დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

11. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის

შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს.

12. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„კომპანია“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფინანსდება სხვადასხვა პროფესიული კურსები. სწორედ ამიტომ, ტრეინინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 18 იანვარს:

გიორგი ერემეიშვილი

გენერალური დირექტორი

შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს.

12. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„კომპანია“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ფინანსდება სხვადასხვა პროფესიული კურსები. სწორედ ამიტომ, ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 18 იანვარს:



გიორგი ერეკლეიძე
გენერალური დირექტორი